# საქართველო 2018

## განათლება

MICS

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა

## დასწრების მაჩვენებლები და უთანასწორობები

### დასწრების წმინდა მაჩვენებლები (კორექტირებული)




## უთანასწორობები სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში დასწრებაზე და ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობა

### დასწრების წმინდა მაჩვენებელი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში




36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში

### ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის მაჩვენებელი (სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი ბავშვები): SDG 4.2.2




ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დაწყებით საფეხურის პირველ კლასში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი იყვნენ და დადიოდნენ ბაღში ან სკოლის დაწყებით საფეხურზე (დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებელი)

## უთანასწორობები დასწრების მაჩვენებლებში

### სკოლის დაწყებით საფეხურზე დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული)




სკოლის დაწყებითი საფეხურის შესაბამისი ასაკის (სასწავლო წლის დასაწყისში) ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ესწრებიან სკოლის დაწყებით ან საბაზო საფეხურს

### სკოლის არასრულ საშუალო (საბაზო) საფეხურზე დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული)




სკოლის არასრული საშუალო საფეხურის შესაბამისი ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ესწრებიან სკოლის არასრულ საშუალო (საბაზო) ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს (მიმდინარე ან ბოლო სასწავლო წლის დასაწყისში)

### სკოლის სრულ საშუალო საფეხურზე დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული)




სრული საშუალო განათლების შესაბამისი ასაკის (მიმდინარე ან ბოლო სასწავლო წლის დასაწყისში) ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ესწრებიან სკოლის სრული საშუალო ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს

## რეგიონული მონაცემები დასწრების წმინდა მაჩვენებლებისათვის (კორექტირებული)

| რეგიონი | საბავშვო ბაღი | ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონე | დაწყებითი | არასრული საშუალო (საბაზო) | სრული საშუალო |
|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | **78** | **90** | **98** | **96** | **85** |
| თბილისი | 88 | 94 | 99 | 96 | 85 |
| აჭარის ა.რ. | 75 | 93 | 98 | 94 | 83 |
| გურია | 88 | 94 | 96 | 95 | 80 |
| იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 83 | 94 | 98 | 98 | 95 |
| კახეთი | 88 | 98 | 96 | 94 | 85 |
| მცხეთა-მთიანეთი | 80 | 90 | 98 | 99 | 78 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 88 | 98 | 96 | 97 | 86 |
| სამცხე-ჯავახეთი | 59 | 78 | 97 | 97 | 89 |
| ქვემო ქართლი | 41 | 64 | 97 | 94 | 73 |
| შიდა ქართლი | 80 | 89 | 98 | 97 | 86 |

ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონე არის შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში (სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი) ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც იღებენ განათლებას ბაღში ან სკოლის დაწყებით საფეხურზე.
მონაცემები "ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონე"-სათვის "სამცხე-ჯავახეთისა" და "ქვემო ქართლში" ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.
მონაცემები"დაწყებითი"-სათვის "გურია", "სამცხე-ჯავახეთისა" და "ქვემო ქართლში" ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

# საკვანძო გზავნილები

- სკოლის სრული საშუალო საფეხურის ასაკის ბავშვების 85% ესწრება სრულ საშუალო საფეხურს, მაშინ როდესაც დასწრების მაჩვენებელი დაწყებით და არასრული საშუალო საფეხურის შემთხვევაში შესაბამისი ასაკებისთვის შესაბამისად 98% და 96%-ს შეადგენს.
- დასწრების წმინდა მაჩვენებელი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში (საბავშვო ბაღი) უმდიდრეს კვინტილურ ჯგუფში მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ყველაზე ღარიბი კვინტილური ჯგუფისათვის (87% და 61%).
- ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის მაჩვენებელი სკოლაში შესვლის ასაკამდე ერთი წლით ადრე 5 პროცენტული პუნქტით მაღალია გოგონებში ბიჭებთან შედარებით, ხოლო ქალაქში 14 პროცენტული პუნქტით - სოფელთან შედარებით.
- დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებელი დაწყებითი და არასრული საშუალო (საბაზო) საფეხურისთვის არ განსხვავდება სქესის მიხედვით, ხოლო სრული საშუალო საფეხურისთვისთვის 4 პროცენტული პუნქტით მაღალია გოგონებისთვის ბიჭებთან შედარებით.
- დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებელი არასრული საშუალო (საბაზო) საფეხურისთვის უმდიდრეს კვინტილში 100%-ს შეადგენს.
- დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებელი სრული საშუალო საფეხურისთვის ყველაზე მაღალია იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ხოლო ყველაზე დაბალი ქვემო ქართლში, შესაბამისად 95% და 73%.

## დასრულების მაჩვენებლები




## უთანასწორობები დასრულების მაჩვენებლებში




პროცენტული წილი ბავშვების, რომლებიც არიან სკოლის არასრული საშუალო (საბაზო) საფეხურის ბოლო კლასისთვის განსაზღვრულ ასაკზე 3-5 წლით უფროსი და დასრულებული აქვთ არასრული საშუალო (საბაზო) საფეხური




პროცენტული წილი ბავშვების, რომლებიც არიან სკოლის სრული საშუალო საფეხურის ბოლო კლასისთვის განსაზღვრულ ასაკზე 3-5 წლით უფროსი ასაკის და დასრულებული აქვთ სრული საშუალო საფეხური

## რეგიონული მონაცემები დასრულების მაჩვენებლებისათვის

| რეგიონი | დაწყებითი | არასრული საშუალო (საბაზო) | სრული საშუალო |
|---|---|---|---|
| **საქართველო** | **100** | **98** | **81** |
| თბილისი | 100 | 100 | 90 |
| აჭარის ა.რ. | 100 | 99 | 86 |
| გურია | 100 | 97 | 75 |
| იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 100 | 100 | 80 |
| კახეთი | 99 | 90 | 60 |
| მცხეთა-მთიანეთი | 100 | 95 | 80 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 100 | 99 | 69 |
| სამცხე-ჯავახეთი | 100 | 99 | 85 |
| ქვემო ქართლი | 100 | 89 | 69 |
| შიდა ქართლი | 99 | 96 | 68 |

## სკოლის მიღმა ყოფნის მაჩვენებელი

### სკოლის მიღმა ყოფნის პარამეტრები განათლების დონეებისთვის




**პარამეტრი 1:** ბავშვები, რომლებიც არ დადიან საბავშვო ბაღში ან განათლების დაწყებით საფეხურზე

**პარამეტრი 2:** ბავშვები, რომლებიც სკოლის დაწყებითი საფეხურის შესაბამის ასაკში არიან და არ ესწრებიან სკოლის დაწყებით ან საშუალო საფეხურს

**პარამეტრი 3:** ბავშვები, რომლებიც არასრული (საბაზო) განათლების შესაბამის ასაკში არიან და არ ესწრებიან სკოლის დაწყებით ან საშუალო საფეხურს

**პარამეტრი 4:** ბავშვები, რომლებიც არიან სკოლის დაწყებით საფეხურზე, მაგრამ მიტოვების რისკის ქვეშ იმყოფებიან (ორი და მეტი წლით უფროსი)

**პარამეტრი 5:** ბავშვები, რომლებიც  არიან არასრულ (საბაზო) საშუალო საფეხურზე, მაგრამ მიტოვების რისკის ქვეშ იმყოფებიან (ორი და მეტი წლით უფროსი)

### SDG მაჩვენებლები განათლებისათვის

| SDG | მიქსის მაჩვენე-ბელი | განმარტება და შენიშვნები | მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 4.1.4 | LN.8 a,b,c | დასრულების მაჩვენებელი (დაწყებითი, არასრული საშუალო (საბაზო), სრული საშუალო ) | 100%/98%/81% |
| 4.1.5 | LN.6 a,b,c | სკოლის გარეთ ყოფნის მაჩვენებელი (დაწყებითი, არასრული საშუალო (საბაზო), სრული საშუალო) | 1%/1%/11% |
| 4.1.6 | LN.10 a,b, | ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც არიან განათლების საფეხურისათვის მეტი ასაკის (დაწყებითი, არასრული საშუალო (საბაზო)) | 0.2%/0.6% |
| 4.2.2 | LN.2 | ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის მაჩვენებელი (დაწყებით სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი), სქესის მიხედვით | M:87%/F:92% |
| 4.5.1 | LN.5 a | თანასწორობის ინდექსები (ქალი/მამაკაცი, სოფელი/ქალაქი, ღარიბესი/უმდიდრესი კეთილდღეობის ინდექსის კვინტილი) განათლების დაწყებით საფეხურზე დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებელისათვის | 1.00/0.99/0.98 |
| 4.5.1 | LN.5 b | თანასწორობის ინდექსები (ქალი/მამაკაცი, სოფელი/ქალაქი, ღარიბესი/უმდიდრესი კეთილდღეობის ინდექსის კვინტილი) განათლების არასრული საშუალო (საბაზო) საფეხურზე დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებლისათვის | 1.00/1.01/0.95 |

## საკვანძო გზავნილები

- განათლების საბაზო საფეხურზე სწავლის დასრულების მაჩვენებელი 4 პროცენტული პუნქტით მაღალია ქალაქის ტიპის დასახლებებში სასოფლოსთან  შედარებით. უმდიდრეს კვინტილურ ჯგუფში განათლების საბაზო საფეხურზე სწავლის დასრულების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს, ხოლო ღარიბეს კვინტილურ ჯგუფში - 93%-ს.
- განათლების სრულ საშუალო საფეხურზე სწავლის დასრულების მაჩვენებელი 4 პროცენტული პუნქტით მაღალია ქალებისთვის ვიდრე მამაკაცებისთვის, ხოლო საბაზო საფეხურზე ეს მაჩვენებელი თანაბარია.
- დასრულების მაჩვენებელი სრული საშუალო განათლებისთვის მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსზე და იზრდება კვინტილების მიხედვით 56% (ღარიბესი) და 96% (უმდიდრესი). ასევე ეს მაჩვენებელი დაკავშირებულია დასახლების ტიპთან: ქალაქში 20 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე სოფლის დასახლებებში.
- განათლების სრულ საშუალო საფეხურზე სწავლის დასრულების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში (90%), ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთის (60%) რეგიონში.
- თანასწორობის ინდექსებში, განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე, დასწრების წმინდა კორექტირებული  მაჩვენებელი უმნიშვნელოდ განსხვავდება სასოფლო/საქალაქო დასახლებებს შორის, შედარებით მეტად - ღარიბესი/უმდიდარესი კვინტილური ჯგუფების ჭრილში, ხოლო სქესის მიხედვით განსხვავება საერთოდ არ არის.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია განათლებასთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში: LN.1.1, LN.1.2, LN.2.3, LN.2.4, LN.2.5 , LN.2.6, and LN.2.7. LN.2.8

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: mics.unicef.org/surveys.